მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

თებერვალი, 2023

ძირითადი ცვლილებები

- 2023 წლის იანვარში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 8.4 პროცენტი, ხოლო 2022 წლის საშუალო ზრდა 10.1 პროცენტზე დაფიქსირდა

- თებერვალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 8.1 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 6.5 პროცენტს

- იანვარში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 38.5 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 25.2 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 15.8 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 543.9 მლნ აშშ დოლარს

- იანვრის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა 15.4 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და გაუფასურდა 0.1 პროცენტით წინა თვესთან

- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11.0 პროცენტზე დატოვა

იანვარში ეკონომიკურმა ზრდამ 8.4 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 8.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2022 წლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 10.1 პროცენტია.
- 2023 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: : მშენებლობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, სასტუმროები და რესტორნები.
- კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობებისა და ენერგეტიკის დარგებში.

ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



ეკონომიკური ზრდა 2023-2019



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2022 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 9.5 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2022 III კვარტალი



მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2022 III კვარტალი



წყარო: საქსტატი

- წინასწარი შეფასებით, 2022 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკა საშუალოდ 9.5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 9.8 პროცენტით, რაც 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით 12.0 პროცენტიან ზრდას გულისხმობს.
- 2022 წლის მესამე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები: 127.8% წ/წ (0.1 პ.პ.)
  - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 74.9% წ/წ (3.3 პ.პ.)
  - ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება: 34.7% წ/წ (0.3 პ.პ.)
  - სამთომოპოვებითი მრეწველობა: 31.3% წ/წ (1.1 პ.პ.)
  - ტრანსპორტი და დასაწყობება: 29.0% წ/წ (0.4 პ.პ.)
  - ხელოვნება, გართობა და დასვენება: 12.0% წ/წ (1.5 პ.პ.)
  - განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები: 11.7 წ/წ (0.5 პ.პ.)
  - მშენებლობა: 9.1% წ/წ (0.4 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: -6.3 წ/წ (-0.8 პ.პ.)
  - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები: -14.3 წ/წ (-0.8 პ.პ.)

თებერვლის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 8.1 პროცენტი

მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ



ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 15.8 პროცენტით

ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ



იმპორტის ცვლილება, % წ/წ



- თებერვალში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 38.5 პროცენტით და გაუტოლდა 459 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად გაიზარდა 11.8 პროცენტით და გაუტოლდა 258.8 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 25.2 პროცენტით და გაუტოლდა 1,002.8 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 15.8 პროცენტით და გაუტოლდა 543.9 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 30.3 პროცენტი (100.5 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიტანა 4.1 პროცენტიანი წვლილი (11 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 2.9, 8.7 და 13.6 პროცენტი, შესაბამისად.

ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება სტაბილური დივერსიფიკაციით

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, იანვარი



იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, იანვარი



- ექსპორტის ტოპ საქონელი:
  - მსუბუქი ავტომობილები: 104.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 22.7 პროცენტი.
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 68.1 მლნ აშშ დოლარი - 14.8 პროცენტი.
  - ფეროშენადნობი: 50.8 მლნ. აშშ დოლარი - 11.1 პროცენტი.
- იმპორტის ტოპ საქონელი:
  - ნავთობის აირები: 92.1 მლნ აშშ დოლარით - 9.2 პროცენტი.
  - მსუბუქი ავტომობილები: 86.4 მლნ. აშშ დოლარი - მთელი იმპორტის 8.6 პროცენტი.
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 82.3 მლნ აშშ დოლარით - 8.2 პროცენტი.
- ექსპორტის ტოპ ქვეყნები:
  - რუსეთი: 87.8 მლნ. აშშ დოლარი, 19.1 პროცენტი.
  - სომხეთი: 69.8 მლნ. აშშ დოლარი - 15.2 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 51.9 მლნ. აშშ დოლარი, 11.3 პროცენტი.
- იმპორტის ტოპ ქვეყნები:
  - რუსეთი: 175.8 მლნ. აშშ დოლარი - 17.5 პროცენტი.
  - თურქეთი: 164.7 მლნ. აშშ დოლარი - 16.4 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 68.5 მლნ. აშშ დოლარი - 6.8 პროცენტი.

წყარო: საქსტატი

ტურიზმის აღდგენა გრძელდება და 2022 წლის დეკემბერში მიაღწია 2019 წლის 167.2%-ს

ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, 2019 = 100



ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, დეკემბერი 2022

ქვეყანა	ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)
რუსეთი	363.3
თურქეთი	109.5
უკრაინა	84.7
ისრაელი	24.2
ევროკავშირი + დიდი ბრიტანეთი	21.8
სომხეთი	19.1
სხვა	88.2

- 2022 წლის დეკემბერში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 188.2 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 363.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაღალი ზრდა განპირობებულია 2021 წლის დეკემბგრის დაბალი მაჩვენებლით (126.1 მლნ აშშ დოლარი).

- რეგიონსა და ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების გამო, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2019 წლის მნიშვნელობას აჭარბებს. კერძოდ, 2019 წლის დეკემბერთან შედარებით, 2022 წლის დეკემბერში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაზრდილია 67.2 პროცენტით.

- სეზონურად მოსწორებული ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის თვიური ზრდა დეკემბერში გაუტოლდა 14.4 პროცენტს.

ტურიზმის აღდგენა ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის შესაბამისი თვე = 100, %



წყარო: სებ

რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების შედეგად იზრდება ფულადი გზავნილები

წმინდა ფულადი გზავნილები, 2023-2019



წმინდა ფულადი გზავნილები, იანვარი 2023

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
რუსეთი	264.9	1509.3	170.7
იტალია	38.9	18.5	4.2
აშშ	27.0	36.1	4.9
ისრაელი	16.6	14.6	1.5
საბერძნეთი	16.5	5.9	0.6
ყაზახეთი	7.9	30.7	1.3
სხვა	46.9	16.5	4.6

- 2023 წლის იანვარში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 418.7 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 187.7 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 317.9 პროცენტით.
- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
  - რუსეთი: 1509.3 პროცენტი (170.7 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - გერმანია: 59.9 პროცენტი (3.4 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - აშშ: 36.1 პროცენტი (4.9 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - იტალია: 18.5 პროცენტი (4,2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
  - აზერბაიჯანი: -52.4 პროცენტი (-1.1 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ

იანვარში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად 15.4 პროცენტით გამყარდა

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში



შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	28 თებერვალი, 2023	28 თებ 2023 - 1 იან 2022	28 თებ 2023 - 1 იან 2021
ევრო	2.7751	▲ 15.8%	▲ 10.3%
აშშ დოლარი	2.6272	▲ 9.1%	▲ 1.7%
თურქული ლირა	0.1391	▲ 246.3%	▲ 263.3%
რუსული რუბლი	0.0349	▲ 31.9%	▲ 9.9%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	137.07	▲ 4.5%	▲ 23.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (იანვარი 2022)	145.22	▲ 15.4%	▲ 38.4%

წყარო: სებ

თებერვალში საგადასახდო შემოსავლები 17.5 პროცენტით აღემატება პროგნოზს

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, თებერვალი 2023



ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი



- 2023 წლის თებერვალში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,450 მლნ ლარი, რაც 17.5 პროცენტით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს.
- 2023 წლის იანვარში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 25.1 პროცენტით, ხოლო ხარჯები 14.4 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 501 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა 318.7 მლნ ლარით.
- 2023 წლის იანვარში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დღგ-დან და საშემოსავლო გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა 10.8 და 10.1 პროცენტიანი კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ განიცადა მცირე ცვლილება

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით



- 2023 წლის თებერვალში ჩატარდა 5 აუქციონი ჯამური გამოშვებით 241.4 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.78% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები და 3, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 370 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.
- 2023 წლის 28 თებერვლისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 20.7% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (იანვარი 2.1) შედარებით შემცირდა და 1.77 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ლარიზაციის მაჩვენებლები განაგრძობს ზრდას

სესხების ლარიზაცია





დეპოზიტების ლარიზაცია





- 2023 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 69.7 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 37.2 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 44.1 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 70.4 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 28.2 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 52.3 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 41.5 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 36.9 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ

სესხების წლიური ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება

სესხების წლიური ზრდა



სესხების წლიური ზრდა



უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, %წ/წ



- 2023 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, 2022 წელის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 12.7 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 8.9 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 16.1 პროცენტს შეადგენს.
- 2023 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 16.6 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 8.3 პროცენტს გაუტოლდა.
- 2023 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 14.1 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 20.6, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 9.3 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ

დეპოზიტების წლიური ზრდა კვლავ მაღალია







- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2023 წლის 1 თებერვლის 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 29.7 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 29.7 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 29.7 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 31.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 32.5 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2023 წლის თებერვლის დასაწყისში შეადგინა 30.4 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 13.2 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 55.4 პროცენტი.

წყარო: სებ

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11 პროცენტზე დატოვა

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სებ

- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 1 თებერვალს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 11.0 პროცენტზე დატოვა.

- სებ-ს მიხედვით, საქართველოში წლიურმა ინფლაციამ პიკური პერიოდი გადალახა და შემცირების ტენდენცია აქვს, რასაც საგარეო ფაქტორებიდან მომდინარე წნეხის ეტაპობრივი განეიტრალება განაპირობებს. კერძოდ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) თანახმად, სურსათის საერთაშორისო ფასების ინდექსი მარტის შემდგომ მცირდება. ამასთან ერთად, საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულებაც კლებას განაგრძობს და დეკემბრის მონაცემებით თითქმის პანდემიამდელ დონეს დაუახლოვდა. აღნიშნული ტენდენციები, გამყარებული გაცვლითი კურსის ფონზე, ადგილობრივ ბაზარს გადმოეცემა და იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს. მთლიანი ინფლაციის შემცირებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ხანგრძლივად შენარჩუნება და ფისკალური კონსოლიდაციაც უწყობს ხელს. განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზით, სხვა თანაბარ პირობებში, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ფონზე, წლიური ინფლაცია შემცირებას გააგრძელებს და მიზნობრივ დონეს 2023 წლის მეორე ნახევარში დაუახლოვდება.

- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2023 წლის 29 მარტს ჩატარდება.

- 2022 წლის იანვარს ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციები აუქციონის მეშვეობით არ განუხორციელებია

საბაზრო საპროცენტო განაკვეთებმა ეროვნული და უცხოური ვალუტით მცირედი ცვლილება განიცადეს

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





- 2023 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 11 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 11.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 1.7 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.4 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.9 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.7 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.5 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.6 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.9 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.9 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის იანვრის ბოლოს 14.2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 8.6 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.4 პროცენტი.

წყარო: სებ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16
ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407
ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო